

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N10

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

24.06.2020 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გიორგი ივანიაძე.

**სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი:** – გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა მაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარბეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა დვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

**სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები.** ალექსანდრე ლილუაშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტყარაძე, დავით კაკაბაძე თორნიკე ერისთავი.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში საკითხებში - **ლუბა გოგოძე.**

**მოწვეული პირი:**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი - **ზაზა ოჩხიკიძე.**

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ივანიაძე საკრებულოს ღია სხდომას 11<sup>00</sup> საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

## დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.431) სარგებლობის, უფლებით, იჯარის ფორმით 15 წლის ვადით, გაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.“

მომხსენებელი: ზვიად კაპანაძე

2. „ვანის მუნიციპალიტეტში ახალი ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ლაბაჯოურის უბნის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო საგრანტო პროექტის მოწონების შესახებ“.

მომხსენებელი: ზაზა ოჩხიკიძე

წარმოდგენილი პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -30

წინააღმდეგი - არცერთი.

**დაადგინეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

### მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.431) სარგებლობის, უფლებით, იჯარის ფორმით 15 წლის ვადით, გაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არის დაინტერესებული პირი ამ ობიექტის იჯარით აღების თაობაზე 15 წლით და საწყისი წლიური საიჯარო ქირის ღირებულება იქნება 360 (სამას სამოცი) ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 30

წინააღმდეგი – არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ

31.01.26.431) სარგებლობის, უფლებით, იჯარის ფორმით 15 წლის ვადით, გაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

(განკარგულება N 27 14)

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ზაზ ოჩიკიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში ახალი ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ლაბაჯოურის უბნის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო საგრანტო პროექტის მოწონების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისამ მოითხოვა საგრანტო პროექტის განაცხადის წარდგენა, მოვამზადეთ მოთხოვნა და წარვადგენთ კომისიაში.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 30

წინააღმდეგი – არცერთი

**გადაწყვეტეს:** დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტში ახალი ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ლაბაჯოურის უბნის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო საგრანტო პროექტის მოწონების შესახებ“.

( განკარგულება 27 15)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

**გიორგი ივანიაძე**

**ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**სხდომის თავმჯდომარე**